

აქციის დანართი N

ქ. _____

_____ 2019 წელი

აბონენტი (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საკონტაქტო ნომერი, ელ. ფოსტა):

ადასტურებს, რომ ეთანხმება ქვემოთმოცემულ „აქციის“ პირობებს:

„აქციის“ დასახელება : "სუპერდრაივი" და "პრემიუმ +" სპეციალურ ფასად"

აქციის პირობები :

- წინამდებარე აქციის ფარგლებში (შემდგომში "აქცია"), ინტერნეტ და სატელევიზიო მომსახურებ(ებ)ის მიღების მსურველი პირებისთვის, ორმაგი შეთავაზების "სუპერდრაივი" და "პრემიუმ +" კომბინაციის პაკეტზე რეგისტრაციისას, აღნიშნული პაკეტის ყოველთვიური ღირებულება აქციის ფარგლებში განისაზღვრება: თბილისში - 52 ლარის ოდენობით, აქციაში ჩართვიდან 6 თვის ვადით, ხოლო რეგიონებში - 34 ლარის ოდენობით, აქციაში ჩართვიდან 1 წლის ვადით.
- აქციაზე რეგისტრაციის პერიოდი განისაზღვრება 2019 წლის 15 აპრილიდან და - 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
- აქციის მოქმედების პერიოდი განისაზღვრება აბონენტის აქციაში ჩართვიდან თბილისში - 6 თვის ვადით, ხოლო რეგიონებში -1 წლის ვადით.
- აქციის პირობით ინსტალაციის პერიოდი განისაზღვრება 2020 წლის 31 მარტის ჩათვლით.
- აქცია ვრცელდება შემდეგ ფიზიკურ პირებზე:
 - 5.1. ოპტიკური ინტერნეტ და სილქ ტვ მომსახურებების მიღების მსურველი პირები, რომლებიც ერთვებიან ორმაგ შეთავაზებაში და რეგისტრირდებიან კომბინაციაზე "სუპერდრაივი" და "პრემიუმ +";
- მე-5 პუნქტით განსაზღვრული აბონენტებისთვის, რომლებიც აქციის პირობებით რეგისტრაციის პერიოდში დარეგისტრირდებიან ორმაგი შეთავაზების "სუპერდრაივი" და "პრემიუმ +" კომბინაციის პაკეტზე, აქციის ფარგლებში აღნიშნულ პაკეტის ყოველთვიური ღირებულება თბილისში განისაზღვრება - 52 ლარის ოდენობით, ხოლო რეგიონებში - 34 ლარის ოდენობით.
- აქციის პირობებით რეგისტრაციის ან აქციის მოქმედების პერიოდში აბონენტებს შესაძლებლობა აქვთ უარი განაცხადონ აქციის პირობებით სარგებლობაზე. აქციაზე უარის შემთხვევაში, აქციიდან გასვლის შემდეგ, აბონენტებს დაერიცხებათ აქციის ფარგლებში ჩართული ორმაგი შეთავაზების პაკეტის სტანდარტული ღირებულება, რის თაობაზეც, როგორც გაუქმებამდე, ისე გაუქმების შემდეგ, მოხდება აბონენტის შესაბამისი გზით გაფრთხილება. აქციაზე უარის შემთხვევაში აბონენტებს ეზღუდებათ ხელმეორედ აქციაში ჩართვის შესაძლებლობა.
- აქციის მოქმედების პერიოდში იზღუდება ორმაგ შეთავაზებაში ჩართული მომსახურებებიდან ერთ-ერთის (ინტერნეტის ან სილქ ტვ-ის) დროებით შეჩერების შესაძლებლობა. ცალკეული მომსახურების შესაჩერებლად უნდა მოხდეს ჯერ აქციის გაუქმება და შემდეგ ცალკეული მომსახურების დროებით შეჩერება;
- აქციის მოქმედების პერიოდში არ იზღუდება ორმაგ შეთავაზებაში ჩართული ორივე მომსახურების (ინტერნეტი და სილქ ტვ-ის ერთდროულად) დროებით შეჩერების შესაძლებლობა. მომსახურებების აღდგენის შემდეგ გაგრძელდება მომსახურებების მიწოდება აქციის პირობებით, თუმცა დროებით შეჩერების პერიოდში აქციის ვადის ათვლა არ წყდება.
- ორმაგი შეთავაზების პაკეტის ან ორმაგ შეთავაზებაში შემავალი ერთ-ერთი მომსახურების სააბონენტო პაკეტის ცვლილებისას, ან ორმაგ შეთავაზებაში შემავალი ერთ-ერთი მომსახურების გაუქმებისას მოხდება აქციის გაუქმება.

11. აბონენტს არ ეზღუდება სატარიფო გეგმის ცვლილება (მათ შორის, "სილქ +" ის აქციაზე რეგისტრაცია); ცვლილების შემთხვევაში მოხდება წინამდებარე აქციის გაუქმება და შემდგომ, სააბონენტო პაკეტის ცვლილება (ან/და "სილქ +" აქციაზე რეგისტრაცია).
12. აქციაში ჩართულ აბონენტს ძველ მისამართზე გააქტიურებული აქცია ახალ მისამართზე არ გადაყვება.
13. იმ შემთხვევაში, თუ მისამართის ცვლილებაზე/რეინსტალაციაზე რეგისტრაციისას, მე-2 პუნქტით განსაზღვრული პერიოდი არ არის დასრულებული და აბონენტი დარეგისტრირებდა ორმაგ შეთავაზებაზე, აღნიშნული მომსახურება დარეგისტრირდება აქციის პირობებით.
14. თუ ახალ მისამართზე /რეინსტალაციისას მომსახურების ინსტალაცია განხორციელდება მე-4 პუნქტით განსაზღვრული ვადის ამოწურვამდე, აბონენტი ისარგებლებს მე-6 პუნქტით განსაზღვრული აქციის პირობებით.
15. სატარიფო გეგმა:

მომსახურების ტარიფები			
მომსახურების დასახელება	აქციის ტარიფი	აქციის მოქმედების პერიოდი	რეგიონი
"სუპერდაივი" და "პრემიუმ +"	52 ლარი	6 თვე	თბილისი
"სუპერდაივი" და "პრემიუმ +"	34 ლარი	1 წელი	რეგიონი

მხარეთა ხელმოწერები:

სს „სილქნეტის“ წარმომადგენელი _____

აბონენტი _____